წელიწადი პირველი

ერი

კვირა თებერვლის 20 1921 წ.

ფასი 30 მან.

რედაქცია და კანტორა

ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი ს. ფირხაძისა. რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$ საათამდის. კანტორა [illegible] საათიდან ნაშუადღევის 3 [illegible] 5 საათიდან 7 საათამდის. [illegible] და კორესპონდენციებისათვის! ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 80.

დეპეშებისათვის—ქუთაისი **ერი**. ტელეფონი № 32

წერილები დაწერილი უნდა იყოს ერთ გვერდზე და სუფთად. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება რედაქციისათვის საჭიროა წერილის ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ წერილების შესახებ რედაქცია მიწერ მოწერას არ კისრულობს.

№ 4 საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ორგანო, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მან. მე-4-ე გვერდზე 20 მან. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი 1000 მან. 12 საათის, შემდეგ 1200 მან.

ხელის მოწერა:
გაზეთი „ე რ ი" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში 700 მან. ცალკე № 30 მ.

1921 წ. თებერვლის 17-დან ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ე რ ი

გამარჯვებული საქართველო.

ქართველი ერი იმეორებს თავის ისტორიულ გმირობას. ამხედრებული, მთლიანი, პატრიოტულად აღგზნებული, სავსე იმედებით და იდეალიზმით იგი დღეს წარმოადგენს განთავისუფლებულ ამირანს, რომელიც ღვთიური ცეცხლით იკაფავს გზას მომავლისაკენ. ჩვენმა მხედრობამ ბოლშევიკები სასტიკათ დაამარცხა სანდორის მახლობლად რუსები და სომხები თავზარდაცემულნი გარბიან.

წინ მიდის გამარჯვებული საქართველო.

ომი და ომი.

ეს ომი შემთხვევითი მოვლენა არ არის. ეს ომი მოსალოდნელიც იყო და აუცილებელიც, რადგან ამას მოითხოვდა რთული პოლიტიკური პირობები.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მარტო რუსეთისაგან ჩამოშორება და გამოყოფა არ კმაროდა. საქართველოს ცალკე სახელმწიფოს აღდგენა მოითხოვდა მისი ისტორიული საზღვრების აღდგენას და განმტკიცებას—ეს კი ისე ადვილი არ იყო, როგორც დამოუკიდებლობის გამოცხადება და ამის დასაბუთება. 117 წლის რუსეთის აქ ბატონობამ ჩვენი ისტორიული საზღვრები ძალზე შესცვალა და მოსაზღვრე ქვეყნებთა შორის ხაზი ისე წაშალა, რომ ამის განახლება მარტო სიტყვით და დიპლომატიურ ენაზე ლაპარაკით არ მოხერხდებოდა, ამისთვის არც ისტორიული საბუთები კმაროდა. აქ საჭირო იყო სხვა რამ—ფიზიკური ძალა—ომი—სისხლის დაღვრა.

ჩრდილოეთ დასავლეთის საზღვრები ჩვენი უფრო ადვილი აღსადგენი იყო, ამას ხელს უწყობდა ბუნებრივი მდგომარეობაც, სტრატეგიული მდებარეობაც, მაგრამ სულ სხვა გარემოება აღმოსავლეთ სამხრეთის საზღვრების შესახებ. სომხებსა და ადერბეიჯანელ ოსმალთა სულიერი განწყობილება საქართველოსადმი აქამდინაც ნათელყოფდა გართულებას და რაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გადაიქცა—ქონებრივ ინტერესს შურისა და მტრობის ძალაც დაემატა და ასეთ პირობებში იარაღი უნდა გაჩდეს—იმან უნდა გადასწყვიტოს საკითხი.

მართალია ჩვენ ბევრს ვეცადეთ ნებაყოფლობით მორიგებას, შინაური სამართლით საქმის მოგვარებას, მოვაწყვეთ კონფერენციაც და არბიტრაჟიც, მაგრამ... მაგრამ არ გამოდგა. გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობას თან მისდევს ომი და ომი.

სამწუხაროა ეს, მაგრამ აუცილებელი კი არის.

დღევანდელმა ომმა უნდა გაავლოს ხაზი ჩვენსა და ამიერ კავკასიაში შემოსახლებულ სომხებსა და ადერბეიჯანელთა შორის. რომ ეს ნებაყოფლობით მომხდარიყო ევებ ისტორიულ საბუთებს დავემყარებოდით, მაგრამ რადგან საქმე ომზე მიდგა, რადგან სისხლი დაიქცა და ქართველთა შორის იარაღი დატრიალდა, აწი გარიგებას ადგილი აღარა აქვს. უნდა ვიცოდეთ, რომ რამდენათაც ქართველი მშვიდობიანობაში სათნოა, იმდენათ ომში ულმობელია. ქართველი ძლიერ მომთმენია, მაგრამ მოთმინება დაკარგული, უკიდურესია.

დღევანდელი ომი ჩვენი საზღვრების საკითხს გადასწყვეტს და დაადასტურებს.

— ეს ერთი მხარე.

დღევანდელი ომი არსებითად შეეხება სომხეთის საკითხს.

სომხების მდგომარეობა აქამდიც გამოურკვეველი იყო და ახლაც გამოურკვეველია. სომხეთმა დიდი ხანია პოლიტიკური სახე დაჰკარგა, თუმცა ასეთი სახე ნათელი და სადი მას არც უწინ ჰქონია, მაგრამ ცალკე სახელმწიფო მაინც იყო. ბოლოს ოსმალეთსა და საქართველოში გაითქვიფა სომხეთის სახე, რაც კი ჰქონდა.

საერთაშორისო ომისა და შემდეგ რევოლუციის დროს სომხეთმაც დააპირა თავისი სახელმწიფოს აღდგენა, მაგრამ შემცდარი გზით დაიწყო და მიტომ ვერ შეასრულა. ომის დროს ჩვენ გვღალატობდა და რუსეთს ელაქუცებოდა, მისგან მოელოდა მოწყალებას. ეს გზა არ გამოდგა, შემდეგ, დასავლეთისკენ მიიხედა და ინგლისის საშუალებით და ამერიკის გავლენით ოსმალეთის გაოხრებას შეეცადა, არც ეს გზა გამოდგა. არც ფულმა უშველა, არც ცბიერმა დიპლომატობამ... ბოლოს ბოლშევიკების ხელში ჩავარდა, ამან სულ თავზარი დასცა. სამოთხის მაძებარმა ჯოჯოხეთში ამოჰყო თავი. ამნაირათ დაჰკარგა სომხეთმა პოლიტიკური ხაზიც და ზნეობრივი ღირსებაც, თუ ეს მას ოდესმე ჰქონდა...

დღეს მას აქედან ჩვენ შეუტევთ და იქიდან თათრები და ორ ცეცხლ შუა მყოფმა ნახოს თავისი ღალატითა და ღვარძლით ნათესის ნაყოფი. სომხეთის საკითხი დღეს გადაწყდება.

ეს მეორე მხარე დღევანდელი ომისა.

საერთაშორისო ომმა და რევოლუციამ ოსმალეთიც შეარყია. ოსმალეთის პოლიტიკური განახლება და გადახალისება რა თქმა უნდა აუცილებელი იყო. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ახალი, ნორჩი რესპუბლიკა ანგორა, რომელმაც იქით სულთანის ტახტიც უნდა შესცვალოს, და ადერბეიჯანის კარებიც უნდა შეაღოს.

ეს მომენტი ესმის ანგორას და აი ალლოც აართვა სწორეთ დღევანდელ ომს და სამხედრო აპარატი აამუშავა.

ანგორა ბაქოში უნდა შევიდეს და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ საზღვარს მაშინ გაიკვლევს.

—ეს მესამე მხარე ამ ომისა.

დღეს ბოლშევიზმის პრინციპი ეროვნულ პრინციპს პირისპირ ეჯახება. ჩვენში ეროვნულია ყველაფერი—ხალხიც, ბუნებაც, ჰაერიც, ომიც და ლხინიც. თუ დამარცხდება და დაიმარხება—ბოლშევიზმი აი სწორეთ აქ დასამარდება. პირველ რიგში ჩადგომა ჩვენ გვხვდა წილათ და თუ ბოლშევიზმი დავასამარეთ ქვეყნიერების ხსნაც ჩვენ დაგვიწყია აი ჩვენი სასტორიო და მსოფლიო მისსია.

ეს მეოთხე მხარე დღევანდელი ომისა...

ტრიფონ ჯაფარიძე.

ამიერ კავკასიის ბედი წუდება.

ამიერ კავკასიისათვის ისტორიის ახალი ხანა დადგა.

ევროპასა და აზიას შორის მჭიდრო ეკონომიური კავშირი უნდა დამყარდეს და ამიერ კავკასია შემაერთებელ ხიდად უნდა გახდეს.

მსოფლიო ერთს ეკონომიურ ორგანიზმად უნდა გადაიქცეს.

აზიის ჩაკეტილი კარები უნდა გაიხსნას.

ასეთია ისტორიული პროცესის ლოღიკა.

ასეთი პრობლემა, მიზანი, უძევს წინ კაცობრიობას.

და ის, ვინც მსოფლიოს ამ დიად მიზანს, ამ გარდუვალს ისტორიულ კანონს წინააღუდგება, ულმობელად დაიმსხვრევა.

მოქალაქენო! დაიცავით ნესიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ-ღა გადაეღობა ევროპა-აზიის ხალხებს ამ ახალს ისტორიულ გზაზე? —დიდი რუსეთი. და ის დაიმსხვრევა იმისდა მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ დიდი ძალა შესწევს.

და ამას ხელს უწყობს არა მარტო ბოლშევიკური რუსეთის მოუწყობლობა, ირამედ ისიც, რომ რუსეთის იმპერიის ყოფილი არა-რუსული ნაწილები ცდილობენ ახალს დიდ ისტორიულ გზებს მოემარჯვონ.

მაშასადამე, რუსეთში ცენტრიდან გამრბენი ძალები აღემატებიან ცენტრისაკენ მსწრაფველ ძალებს.

მაგრამ იმდენად დიდი იყო ძველი რუსეთის ძალა, რომ მისი ნგრევის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

ბოლშევიკური რუსეთი მის ნაცვლად, რომ დასჯერებოდა თავის ბუნებრივ ფარგალს და მშვიდობიანი ეკონომიური ურთიერთობით დაკავშირებოდა მეზობლებს, ტრადიციულ გზას დაადგა და შეუტია პოლონეთს, ლიტვას, უკრაინას, კავკასიას.

ფინეთი, ლიტვა და პოლონეთი იმდენად შენაწევრებული, შესხეულებული სახელმწიფოები გამოდგენ, რომ ადვილად გადურჩენ ამ საშინელ ძალის შეჯახებას.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთს დასჭირდა საფრანგეთის დახმარება.

უკრაინაში გაცილებით უფრო სუსტი იყო სახელმწიფოებრივი იდეის ტრადიცია. ამიტომ რუსეთმა ეს ქვეყანა ბოლშევიკურ ავანტიურაში ადვილად ჩაითრია და გათქიფა, თუმცა საკუთარი ვერ მოინელა და, შეიძლება, ვერც ვერაოდეს მოინელოს. ამას ამოწმებენ დაუსრულებელი აჯანყებანი უკრაინაში.

კავკასია კი ბოლშევიკურმა რუსეთმა დაბალ ლობედ ნახა და გადათელა.

წინა კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა დაიპყრო და მოსპო.

შემდეგ აძერბეიჯანი და დასასრულ სომხეთი დაიპყრო, გააბოლშევიკა და გაანადგურა.

და ევროპა-აზია შუაზე გასწყვიტა.

გაწყდა კავშირი შუა აზიისა და სპარსეთისა დასავლეთ ევროპასთან.

იმავე დროს რუსეთმა ნავთი და მაზუტი ევროპაში აღარ შეუშვა და მით ეკონომიური კრიზისის გაღრმავებას ხელი შეუწყო.

დასასრულ, ოსმალოთა და სპარსთა, შუა აზიისა და ინდოეთის გაბოლშევიკება განიზრახა და ოსმალეთის ახალ მთავრობასთან—ანგორასთან—სამხედრო კავშირის შეკვრა მოიწადინა.

მაგრამ გამარჯვებულ ევროპას არ ეძინა.

უეჭველია, ქემალ-ფაშის გალაშქრება ბაქოზე ანტანტთან შეთანხმების შედეგია.

აქ ოსმალეთისა და ანტანტის ინტერესები ერთად შეიყარენ.

ოსმალეთს სწადია განთავისუფლოს აძერბეიჯანი და წინა კავკასიის რესპუბლიკები დაღესტნითურთ რუსთ ბატონობისაგან.

ანტანტის მიზანიც ეს არის.

და ამ საკითხში ანტანტისა და ანგორას პოლიტიკას უერთდება საქართველოს პოლიტიკა.

საქართველოსთვის აუცილებელია სავაჭრო გზა ბაქოზე და სომხეთზე შუა აზიის, სპარსეთისა და წინაააზიისაკენ.

იმავე დროს საქართველოსთვის აუცილებელია ბაქოს ნავთი და მაზუტი.

მაშ საქართველოსაც სწადია განთავისუფლოს ბაქო, დაღესტანი და წინა კავკასიის სხვა მთიულები რუსთ ბატონობისაგან.

ამიტომ, ამ ხანად საქართველოსი და ანგორის გზები ერთად მიდიან და ამ ორისავე გზის უახლოესი ეტაპი—ბაქოა.

ბაქო აღებულ უნდა იქნეს და აღებულ იქნება. ეს—ისტორიული აუცილებლობაა.

როგორი ღა იქნება ბაქოს ბედი. ეს—საერთაშორისო საკითხია.

ბაქოს ბედს ანტანტა გადასწყვეტს.

დაუბრუნებენ თუ არა აზერბეიჯანს სრულ დამოუკიდებლობას?

ვფიქრობ, რომ არა, ვინაიდან აზერბეიჯანმა თავისი დამოუკიდებლობა ვერ დაიცვა, უკეთ ვთქვათ, არ დაიცვა.

მაგრამ ვის ჩაბარებენ მანდატს აზერბეიჯანზე?

ამის გამოცნობა შეუძლებელია.

ერთი რამეა მხოლოდ უეჭველი აზერბეიჯანი რუსთ-ბატონობისაგან განთავისუფლებული იქნება, და მასზე მანდატი რომელსამე სახელმწიფოს ჩაბარდება.

მანდატორსავე დაუნიშნავენ სომხეთსაც.

საქართველო კი, დამოუკიდებელი და გაფართოებული შეიქნება შუამავლად ევროპასა და აზიას შორის. დაედება საფუძვლათ მის მომავალ ეკონომიურ წარმატებას, კულტურასა და განათლებას.

ვასილ წერეთელი.

P. S. ეს წერილი დაწერილი იყო, რომ ამბავი მოვიდა: ჩვენს ჯარს 19 თებერ. დილით მტერი სასტიკად დაუმარცხებია. ვაშა ქართველ ჯარს; მისი გმირობის მეოხებით ამ გამარჯვებას კიდევ ბევრი ახალი გამარჯვება მოჰყვება. მაშ წინ!

ვ. წერეთელი.

სამხედრო მიმოხილვა.

პირველი თავდასხმა სომხების მიერ ჩვენი ჯარის მოწინავე ნაწილებზე მოხდა სადგურ შაგალისთან და სოფ. შინიხთან ბორჩალოს მაზრაში.

სად. შაგალი არის უკანასკნელი სადგური ბორჩალოს მაზრის ტერიტორიაზე ორი ვერსით დაშორებული საზღვრებზე. სოფ. შინიხი კი არის სად. ახტალა და სადახლოს შორის 6 ვერსის მანძილზე აღმოსავლეთ—ჩრდილოეთით ახტალადან და აღმოსავლეთით რკინის გზის ხაზიდან 4 ვერსით დაშორებული აზარბეიჯანის საზღვრიდან ყაზახის მაზრის მხრით. ამავე დროს მოხდა აჯანყება სხვა და სხვა რუსების და სომხების სოფლებში. თავისთავათ ცხადია, რომ ეს თავდასხმა ჩვენი ჯარისთვის რადგანაც მოულოდნელი იყო და ზურგში აჯანყება იყო ის იძულებული გახდა უკან დაეხია და დაეჭირა შესაფერი პოზიციები. ბრძოლა გაგძელდა; ჩვენი ჯარი აქ მედგრათ იდგა დაკავებულ ადგილებზე. ამის შემდეგ საბჭოთა აზარბეიჯანმა შეუერთდა სომხებს და დაიწყეს შეტევა ჩვენ ჯარზე. მდგომარეობა გართულდა, რადგანაც ჩვენ ისთე ბლომათ არგვყავდა საზღვრებზე ჯარი, რომელიც საკმარისი იყო ომისთვის. მაშასადამე სტრატეგიული თვალსაზრისით ის უკან დაიხია და გენერალური შტაბის ცნობით მას ებრძანა მდინარე ორამისკენ დახევა. მტერმა პირველათვე შეეცადა მტკვარზე გადმოსვლა ფაილოს მიმართულებით მაგრამ ყოველივე მათი ცდა უკუგდებულ იქმნა, სომეხი ცხადია რომ ლორის მხრით (დუმანისი ჯელალ-ოღლი; ვორონცოვკა—25 ვერსად. სანაიანიდან პირდაპირი ხაზე) ფართოთ შეტევას ვერ დაიწყებდენ რადგანაც ბუნება არ უწყობდა ხელს, მეტადრე ეხლა; და აქ ჩვენმა ჯარმა დაიკავა დიდმნიშვნელოვანი სიმაღლეები. ამის გამო სომხებმა უფრო დიდი ინტერესივობა გამოიჩინეს რკინის გზის მიმართულებით. აქ უფრო გაშლილი ადგილებია და რკინის გზით ადვილი მისაწვდომია ჯარისთვის საომარი მასალა და სურსათი. ამნაირი იყო ჩვენი მდგომარეობა 17 თებერვლამდე. ჩვენი ჯარი იკავებდა გაბატონებულ პოზიციებს. 17 თებერვალს ჩვენი ჯარი იწყებს ნაწილობრივ შეტევას და ნელა იწევს წინ. დიდი ნაწილი ჩვენი ჯარის დაკავებული ბათუმ-არტაანის მხრით ამ ფრონტზე ვერ გადმოისვლებოდა რადგანაც ქემალ-ფაშას ჯარი რას იზამდა არ ვიცოდით.

თავისთავათ ცხადია რომ ქემალ—ფაშას მიზანი—ბაქოს დაკავება ეხლა ადვილი განსახორციელებელი იყო თუ კი საქართველოს მიემხრობოდა. ასედაც მინდა. 18 თებრვალს ანგორამ ბოლშევიკებს ომი გამოუცხადა და ალექსანდროპოლში მდგომი მისი ჯარი ბაქოსკენ მიიწევს. ამავე დროს ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა და გვარდიამ ფართო შეტევა იწყო. მდგომარეობა მეტათ შეიცვალა ჩვენ სასარგებლოთ.

ბოლშევიკების ცხენოსანი ჯარი ჩვენ ფრონტზე მდგომი მოიცვნა. ცხადია რომ ის გადაისროლეს ქემალის წინააღმდეგ ჩვენ არ ვიცით რა მიმართულებაზე იწევს ქემალის ჯარი და სად მოუხდებათ მათ ბოლშევიკებთან ბრძოლა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ რომ სადაც არ უნდა იყვეს ამ ადგილებში ცხენოსან ჯარისთვის გასაშლელი და სამოქმედო ადგილები არ არის. ამასთანავე მეტათ დიდმნიშნელოვანია ისიც რომ ჩვენი ჯარი მდგომი ბათუმ-არტაანისაკენ განთავისუფლდა და ამნაირათ ჩვენ ჯარს ემატება ახალი ცოცხალი და დიდი ძალა. ამნაირა 18 თებერვლამდის მდგომარეობა.

ნ. ნაკაშიძე.

S. P. ეს წერილი დაწერილი იყო უკვე, როდესაც ცნობა მოვიდა რომ ჩვენმა ჯარმა დიდათ გაიმარჯვა.

ნ. ნაკაშიძე.

სამი თარიღი.

ნურავინ იფიქრებს, თითქო კაცთმოძულეობას ვქადაგობდეთ, ნურავინ იფიქრებს, თითქო ერს ერის წინააღმდეგ ვამხედრებდეთ და სისხლის საღვრელად ვიწვევდეთ!

ეს ჩვენი ბუნებისა და შეგნების წინააღმდეგია!

პირიქით, ქართველი კაცი იმდენათ თავაზიანი და სხვათა პატივის მცემელია, რომ ამ თვისებას ის ხშირად თავის უფლებათა უარყოფამდი მიუყვანია!.. დათმობით, რასაკვირველია!

და თუ ოდესმე ჩვენის მტერ-მოყვრებისათვის საბრალმდებლო ოქმი წაგვიყენებია, იქ ერთგვარი საბოდიშო წინასიტყვაც გვითქვამს ხოლმე.

მტრებთან ბოდიში ვის გაუგონია და არც არაოდეს გვქონია საამისოთ საქმე! და დღეს ჩვენ პირდაპირ აღვნიშნავთ სამს თარიღს: **1795, 1918 და 1921 წ.წ.**

როდესაც ალამაჰმადხანი ერეკლეს წინააღმდეგ დაიძრა თავისი ჯარით 1795 წ., მისი გზის მაჩვენებელნი და საქართველოს გამცემნი სწორეთ სომხები იყვნენ, იმათი მეთაური იყო ოსეფა არღუთაშვილი, რომელსაც თფილისში მთელი დასი ჰყავდა ჯაშუშებისა და კარგად მოწყობილი აგენტურა. უმთავრესი ჯაშუში იყო არტემ არარატიანი. მას მბარს უმშვენებდენ სოლომონ არღუთაშვილი, იოსებ ბებუთაშვილი, დარჩო ბებუთაშვილი, ოსეფა ეორდანაშვილი, იოსებ და ავეტიქა შადბათაშვილები, ყარაბაღის სომეხთა მელიქები ანო და მეჯნუნ და ეჩმიაწინის კათალიკოსი დუკა, რომელმაც საქართველოსკენ მომავალ ალამაჰმადხანს გზა დაუღოცა და სამხედრო საჭიროებათათვის 100.000 მანეთი მიართვა.

აი უკვდავთა სია აი! ის მოღალატენი, რომელთა ვერაგულმა მოქმედებამ თფილისი სისხლით მორწყო 1795-წ.! აი, ის ქართული პურითა და ღვინით გამოკვებულნი, რომელთა მუშაობამ გადაწყვიტა „ბედი ქართლისა“ და ჩვენი ქვეყანა ჩრდილოეთის ბარბაროსებს ჩაუგდო ხელში საჯიჯგნათ!

ვინ მოსთვლის, ვინ ანუსხავს, რამდენი ტანჯვა, დევნა, დამცირება, აწიოკება და ნივთიერ-ზნეობრივი დაქვეითება ხვდა წილად ჩვენს ხალხსა და ქვეყანას ამ მოქმედების წყალობით!..

მაგრამ სომხებმა რა წააგეს? რუსის ნამესტნიკებმა თავიდანვე თავის მფარველობის ქვეშ დააყენეს ისინი და ერთად-ერთ სანდო ელემენტად გამოაცხადეს საქართველოში.

სომხებმაც ამ ნდობით ფართოდ ისარგებლეს და მთელი მაზრები, ჩვენი ქვეყნის უდავო ნაწილები ქართული სისხლითა და ოფლით გაპოხიერებული „დიდი სომხეთის“ რუკაზე აღნიშნეს!..

ისინი წაეპოტინენ ჩვენს ისტორიულ ძეგლებს, ამოფხიკეს ქართული წარწერანი და მათ ნაცვლად სომხური ჩააკერეს!

და ბოლოს, ხატისოვის პირით, საქართველოს დედაქალაქი თფილისი კავკასიის დედა-ქალაქად გამოაცხადეს.

ეს—აქ, ჩვენში, ჩვენი თვალის წინ! ევროპაში ხომ რაღა! იქ ხომ აღარავის ერიდებოდენ და განათლებულ კაცობრიობას პირდაპირ თვალებს უხვევდენ.

მსოფლიო ომმა და რევოლუციამ სომხების ილიუზიები გაფანტა და ამ სხვის მიწა-წყალზე გასუქებულ ხალხს ერევნის ტრიოკებში უკრა თავი! სომხები გამოეთხოვენ „დიდი სომხეთის“ იდეას, ჩვენში დაკარგეს სჯმელი, მაგრამ ისევ საქართველოს ხარჯზე მოინდომეს სასუქის დაბრუნება და მოაწყვეს თავდასხმა.

1795 წლის სომეხთა სიას 1918 წელს მიემატა ახალი სია სომხებისა და მათი მეთაურების.

ვიცით, როგორ დასრულდა ეს თავდასხმა.

ვიცით, როგორ დასრულდება დღევანდელი საშინელი მუხანათობა მათის მხრით!..

ვიცით ამ ხალხის მისწრაფება, რომ ყოველთვის სხვის კერაზე ცთილობს მოითფოს ხელი!..

ამ ხალხმა ნაირ ნაირი ფერი იცვალა, ყოველნაირათ სკადა ბედი, ხანყვითლები იყვნენ, შემდეგ გაშავდენ, გათეთრდენ, გაწითლდენ...

ფერები გამოცილია და ვერც ერთმა ვერ უშველა მათ საბოლოოდ! სომხის შოვინისტები თვით ჯოჯოხეთს დაუმეგობრდებიან, ოღონდ საქართველოში დაკარგული მსუქანი ლუკმა დაიბოუნონ!..

ყოველთვის წააგეს და კიდევ წააგებენ, მაგრამ ისწავლიან კი ჭკუას?

ეს ჭკუა მათ დღევანდელმა ომმა უნდა ასწავლოს!

ქართულმა ხმალმა ეს აბეზარი ხალხი ერთხელ და სამუდამოთ კალაპოტში უნდა ჩააყენოს!..

ჭალარა.

ქართველნო!

საქართველოს დემოკრატიული პარტიის სამხედრო შტაბში დაიწყო მოხალისეთა მიღება საგანგებო რაზმისთვის!

მიიღეთ მონაწილეობა სამშობლოს დაცვაში, ჩაეწერეთ რაზმებში.

ახალი ამბები.

დატუსალებული მისიების ჩამოყვანა. 18 თებერვალს ქუთაისში ჩამოიყვანეს სომხეთის და აღერბეიჯანის მისიათა წევრები, „დაახლოვებით“ 120 კაცი მათ შორის 6 ქალია. ყველანი მოათავსეს საგუბერნიო ციხეში

თვალყური ადევნეთ მოღალატეებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზინის გადმოტანა ქუთაის. ში. 18 თებერვალს ქუთაისში ჩამოვიდა თფილისის ხაზინა. ამ დღეებში მოელიან სახელმწიფო ბანკს.

სწავლის შეჩერება. ქალების სასწავლებლებში სწავლა კიდევ არ დაწყებულა.

მისიების გამგზავრება ბათუმში. საფრანგეთის და ინგლისის მისიები, რომელნიც 18 თებერვალს ქუთაისში უნდა ჩამოსულიყვენ, ბათუმში წავიდენ.

მოხალისეთა რაზმები. ჩვენ პარტიულ რაზმში ჩაწერა გრძელდება. დღემდე ჩაწერილია 300 კაცამდი. ერთი გუნდი ამ დღეებში წავა თფილისისაკენ.

აგრეთვე აღგენენ რაზმს სხვა პარტიები: სოც. ფედერალისტები და სოციალ დემოკრატები.

მილიციის ყურადღება. ქუთაისის მილიცია ენერგიულათ ეძებს მოღალატე ბოლშევიკებს. ყოველ დღე ატუსაღებს მათ. სადარაჯო რაზმი გაძლიერებულია.

კახელების ჩამოსვლა. 19 თებერვალს ქუთაისში ჩამოიყვანეს სიღნაღიდან ახლად მიღებული ჯარის კაცები 200 კაცამდე.

დატუსაღებული ბოლშევიკები. გუშინ 19 თებერვალს თბილისიდან 2 ვაგონით ჩამოიყვანეს დატუსაღებული ბოლშევიკები.

მკვლელობა. 10 თებერვალს ღამის პირველ საათზე ქ. სამტრედიაში, ილორის უბანში, რკინისგზის ლიანდაგის ახლო მცხოვრებმა სენაკის მაზრისა სოფელ ნოსირში (დროებითი ქ. ფოთში) ივლიანე კოსტას ძე ნარაკიამ ხანჯლის ჭრილობით აწამა და მოკლა თავისი ცოლი ოლია ჩიტიას ასული. მკვლელი ნარაკია და მისი ძმა ალექსანდრე 15 წლისა, რომელიც როგორც გამოირკვა მონაწილეობას ღებულობდა მკვლელობაში ორივე შეპყრობილია.

გაცარცვა. 10 თებერვალს ნაშუადღევის 3—4 საათზე ხონის რაიონში, ცხუნკურის თემში ორმა უცნობმა ბოროტ-გამზრახველებმა გზაზე მიმავალი მგზავრები გაცარცვა სოფელ ცხუნკურში მცხოვრებნი, ოქროპირ სტეფანეს-ძე და პოლიკარპე ანტონის ჩირგაძეები რომლებსაც წაართვეს პირველს 2500 მანეთი და მეორეს 2700 მანეთი.

ჩვენი რაზმი ჩვენი რაზმის პირველი ეშელონი უკვე მზადაა გასამგზავრებლად.

პატრონების მოტანა ვრთმა საპატიო პირმა შემოსწირა ჩვენს რაზმს ვინტოვკის სამასი პარონა.

ვაჭართა შორის ამ უკანასკნელ დღეებში ქუთაისის ვაჭარ-მრეწველი და ხელოსანთ კავშირი დიდ უნარს იჩენს ფრონტის დახმარების საქმეში. თავდაცვისათვის დიდძალი ფული და სანოვაგე გროვდება. ამასთან ერთად გადაწყვიტეს ქალაქის დასაცავათ გამოიყვანონ თავის წევრები. ეს რაზმი უკვე შედგა, რაზმში ათასი კაცი ჩაეწერა.

თბილისის გაზეთები თბილისიდან გუშინ გაზეთი არ მოსულა.

რუსეთის მისიის ჩამოყვანა. გუშინ შუადღისას ჩამოიყვანეს ტფილისიდან დატუსაღებული რუსეთის მისიის წევრები. მათ შორის არის ცნობილი შეიმანიც. სერგო ქავთარაძე ჰამოიყვანებენ დღეს.

სალაშქრო

როგორც ლხინსა და ქორწილში,
მივდივართ ბრძოლის ველათა
ჩვენის მშვენება შამულის,
ტურფა ედემის მცველათა!
დიდება შამა-პაპასა,
ასე იცოდენ ძველათა!
აქ რომ მზის თვალი ტრიალობს,
მტერს გულში შოხვდა მწველათა!..

——

მიგვიხარია, მივდივართ
ყიჟინითა და მღერითა,
მოხუცსაც ავაცახცახებთ
ჭაბუკის გულის ძგერითა!..
გზას გვილოცავენ დედები,
ცის მადლით მონაბერითა,
ქალწულნი გაგვაცილებენ
სიმების ტკბილი ჟღერითა!..

——

თუშ-ხევსურ—ამერ-იმერნი
ერთის აზრით და ფიქრებით
სამშობლოს დაძახებაზე
ბრძოლის ველს შემოვიკრებით!
ვერვინ შეგვწამებს ლაჩრობას
მალვით, გარ-გარე იქ რებით:
ვით როსტევან და ავთანდილ,
ერომანეთს გავეჯიბრებით!..

——

იქ ზარბაზანი ჭექს და ქუხს,
შაშხანიც იქვე გრიალებს,
იქ ელვარება ჩვენის ხმლის
მზის სხივზე უფრო ციალებს!
იქ ღელეს სიცოცხლე დუღს, შფოთავს,
იქ დედამიწა ზრიალებს.
ვაჟკაცი სახელს შოულობს,
მტრის გულსა გაატიალებს...

——

მიგვიხარია, მივდივართ
დაუყოვნებლად ხანისა,
მუშურ-ნადურის გუგუნით,
თითქო სამკალად ყანისა!..
მტრის გულის გასაგმირავათ,
მისი სიგრძის და განისა,
დამცველათ საქართველოის,
ცა-ფირუზ — ზურმუხტ-მწვანისა!..

დ. თომაშვილი.

ფრონტის სასარგებლოდ. დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკში (კოლკიდ ბანკი) ვაჭრებისაგან შეკრებილი თავდაცვის თანხა უკვე ოთხ მილიონს გადაცილდა. გროვდება სურსათი, ტანსაცმელი და სხვა საჭირო ნივთები.

დეპეშები.

საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

გადატრიალება ერევანში. 18 თებერვალს ღამით გადმოგვცემენ ერევნიდან: ბოლშევიკების მთავრობა განდევნილია. შესდგა ახალი მთავრობა,

— —

ომის ამბები. 19 თებერვალს ღამით 11 საათზე დაიწყო დიდი ბრძოლა, რომელიც თანდათან ჩვენ სასარგებლოთ იხრება მარჯვენა ფრთიდან მტერი დავამარცხეთ.

— —

19 თებერვალს დილის 1„ საათზე მტერმა პირი იბრუნა. დიდი ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სრულდება.

— —

19 თებერვალს დილის 11 საათზე მტერი დამარცხების შემდეგ გარბის. ჩვენი ცხენოსნები უკან მისდევს. ტყვეთ წამოყვანილია 3,000 კაცი. თათრები ბოლშევიკებს უკან ხიდვებს უფეთქებენ. აფეთქებულია ევლახის ხიდი.

— —

სასახლიდან 10 საათზე და 40 წუთზე გამოგზავნილია დეპეშა: ყველას. გაცნობებთ, რომ ჩვენმა ჯარმა დაამარცხა მტერი ტფილისის მიდამოებში. ხელთ ვიგდეთ ათასაზდე ტყვე. მტრის დევნა გრძელდება. გილოცავთ. გენერალ გუბერნატორი მაღლაკელიძე.

— —

სასახლე 19 თებერვალი ნაშუადღევის 11 საათზე.

ერობებს, კოოპერატივებს და სამინისტროს რწმუნებულებს.

— —

თებერვლის 19-ს თბილისზე წამოსული მტერი სასტიკათ დაამარცხა ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა და გვარდიამ. საბოლოოდ გასამარჯვებლათ საჭიროა ჯარი იყვეს მაძლარი. მოაგროვეთ, გამოაგზავნეთ სიმინდი და ხორბლეულობა.

— —

ყოველ დღე მეკითხებიან: შევძლებთ თუ არა ამ ზღვა ჯარის გამოკვებას. თქვენის იმედით მე ვიძახი, რომ რამდენი ხანიც უნდა გაგრძელდეს ბრძოლა, ჩვენ ჯარს არ მოვაშივებთ. დანაპირებს პირნათლად შეასრულებთ. გაუმძღარჯოს ჩვენს რესპუბლიკას. ერთ წამსაც არ დაივიწყოთ, რომ ჯარისთვის ტყვია-წამალთან ერთად საჭიროა პური, პური და პური.

მომმარაგების მინისტრი **გ. ერაძე.**

სომხეთის პაპ ს. ოგა ისტორიასა ვკითხოთ.

გაჭირვების ჟამს სომხის ერი ყოველთვის ძძაო გვეფიცებოდა, მაგრამ კაენობას არაოდეს არ იშლიდა.

შურიანობა და ჩვენდამი მტრობა თითქო თანშობილ ხასიათად დასჩერებოდა მას და ბერსლიანი ენა და ვერაგული ხელი მუდამ ჩვენსკენ ჰქონდა მომართული.

სომხის ერის დღევანდელი ჩვენ წინააღმდეგ სამტროდ გამოსვლა რომ ერთად ერთი იყოს, ჯანი გავარდეს: ვიტყოდით, რომ ბოლშევიკების ავანტიურამ და ბალდობამ აიყოლია და რასაც სჩადიან, უნებლიეთ შვრებიან თქო.

მაგრამ საბჭოთა მთავრობა გვეფიცება, რომ სომეხთა ახლანდელ ავანტიურას იგი არ იზიარებს. და სწორეთ საქმე ისაა. რომ სომხების კაენობა არ ახალია—ძველია.

დავეკითხოთ ისტორიას.

იგი აშკარად და უტყუარი საბუთებით გვიმტკიცებს, რომ სომხები ყოველთვის და ყოველგან, შინ და გარეთ ჩვენი მტრობისა და შურის მოყვარენი იყვენ და ჩვენს სავნებელს პოლიტიკას აწარმოებდენ.

ჩვენი მეფის, ერეკლე II გაჭირვების დროს, როცა საქართველოს სუვერენობა იმარხებოდა და ჩვენი თავისუფლება რუსეთის ბიუროკრატიის საბურთაოდ ხდებოდა, რუსოფოფილთა ჯგუფში პირველ როლს თამაშობდენ იოსებ ბებუთაშვილი, ტფილისის მელიქი, ლარჩია ბებუთაშვილი, სულხან და მანუჩარ თუშნი შაველები, სოლოქონ არლუთაშილი, დარეჯან დედოფლის მამულების გამგე, იოსებ ყორღანაშვილი.

ამ ჯგუფს მუდამ კავშირი ჰქონდათ გაბმული სომეხ მთავარ ეპის კოპოს იოსებ არლუთაშვილთან, რომელიც პეტერბურგში სცხოვრებდა და რუს-მეფის კარზე ჩვენი ქვეყნის დამამტირებელ პოლიტიკას აწარმოებდა.

ალა-მამად-ხანის შემოსვლის ჟამს განჯის სახანოში ლტოლვილ ყარაბაღულ და თვით ადგილობრივ სომეხ მელიქთა აგიტაცია ერეკლე მეფის წინააღმდეგ იყო მომართული.

თბილისის სომხობის გავლენიან წრეები გულგრილად შეხვდენ მამად ხანის შემოსევას და ზოგი მათგანი პირიქით ტფილისის ინტერესების დაცვის წინააღმდეგაც მოქმედებდენ.

ტფილისის შავი დღის წინაღამეს არტემ არარატიანის და სხვა სომხების დახმარებით ტფილისიდან გაპარულმა პატიმრად მყოფ სპარსეთის ელჩმა დაარწმუნა კაენი, რომ ერეკლეს ცოტა ჯარი ჰყავს და ტფილისის მცხოვრებთა შორის უმეტესობა მეფის ორგულია. ეს ორგულიო სწორეთ სომხები იყვენ.

სანაინის ავანტიურამ ხომ ჩვენს ოვალწინ გაიარა და დღევანდელი სომეხთა ვერაგობაც ხომ აშკარად გვიმტკიცებს, რომ მოღალატე მეზობელთან ვყოფილვართ, ვართ და ვიქნებით.

თურმე სომხები გვშხამავდენ ძველად და გვშხამავენ ახლაც.

სპარსელები შემოგვესეოდენ, თურქები, ოსმალო, თუ ლეკი, ყველას ფიანდაზად გგებოდენ, ყველას ეხმარებოდენ, ყველას ხელს უწყობდენ; ყოველ ჩვენი ისტორიული გასაჭირის დროს ჩვენს ანგარიშზე ხელს ითბობდენ.

სომეხი მეცნიერიც კი სამეცნიერო აკადემიაში იმავე პოლიტიკას აწარმოებდა, როგორსაც „ძმად ნაფიცი კაენები“ გაიხსენეთ პატკანოვი.

რამ გამოიწვია ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“? ახლა ხომ დაიჯერებენ ილიას წინასწარ მეტყველებას! სომხების პატიოსნების შესახებ.

ინ.

წყალტუბოს მინერალური აბანოები.

ჩვენი სამშობლოს ფარგლებში იმდენი სიმდიდრე მოიძებნება, რამდენიც დიდს სახელმწიფოებსაც ყოფოდა, რომ ჩვენ ვიყოთ საკმარისად

ქართველო ხელი ხმალს იპარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებულნი და ტეხნიკურად შომზადებულნი მათი წარმოებისათვის, მაგრამ ჯერ ჩვენ ეს ბუნებიდგან ნაბოძები სიმდიდრე სრულიად ვერ გამოგვიყენებია ბევრი სხვა და სხვა მიზეზებისა გამო. მოვა დრო, დაუბრუნდებით მშვიდობიან ცხოვრებას და იმედია, ავაწარმოებთ არა მარტო მას, რაც ჩვენ წინაშე დგას, რაც ნაცნობია უკვე და გამოკვლეული, არამედ იმასაც, რაც ჯერჯერობით ჩვენთვის საიდუმლოა. უპირველეს ყოვლისა კი ჩვენ უნდა მოვიხმაროთ ის, რაც დიდი ხნიდან ნაცნობია და შეადგენს დიდს ეროვნულ სიმდიდრეს. ამ წერილში მე მინდა მივაქციო ჩვენი საზოგადოების ყურადღება წყალტუბოს მინერალურ აბანოებზე, რომელიც შეადგენს ჩვენი ქვეყანისათვის დიდ მნიშვნელოვან და საუკეთესო სიმდიდრეს, თუმც შეუდგებით მის რიგიანად მოხმარებას და არა ისეე, როგორც წინეთ აწარმოებდენ მათი ძველი პატრონები და ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აწარმოებს ქუთაისის სამაზრო ერობა.

მართალია, იმ პირობებში, რომელშიც ეს აბანოები ჰქონდა ერობას გადაცემული, ბევრის გაკეთება შეუძლებელი იყო, ვინაიდგან მთავრობა აძლევდა ერობას თითო წლის ვადით და ამ უკანასკნელს არ ჰქონდა იმედი, რომ იმას არ ჩამოართმევდენ მის წარმოებას. ამაა გამოიწვია ის, რომ ამ საუცხოო აბანოების მდგომარეობა კიდევ უარესი შეიქმნა, ვინემ იყო ბბ. იოსელიანების ხელში.

ქუთაისს მაზრის ერობის თავმჯდომარემ ამ დღეებში ჩამოიტანა თბილისიდან ამბავი, რომ ეს წყლები დაუთმიათ ერობისათვის ათი წლის ვადით იმ პირობით, რომ, თუ მთავრობა დაინახავს საჭიროდ მის მოწყობას სახელმწიფო ხარჯით, ანუ დაინახავს საჭიროდ გადასცეს მთელი მისი წარმოება რომელიმე კომპანიას, შინაური იქნება ის თუ უცხოელი, მაშინ ის უნდა ჩამოერთვას ერობას და გადაეცეს მას იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელს აღენაზღაუროს გაწეული ხარჯი.

ეს გადაწყვეტილება მთავრობისა არ არის ჩვენთვის სასიამოვნო და მე მგონია ამ პირობებში წყალტუბოს მინერალური აბანოები სრულიად დაიღუპება და მისცემს მთელ ჩვენს ქვეყანას უზომო ზარალს, დაუკარგავს ამ დიდ მნიშვნელოვან წყლებს, რომლის მსგავსი თითქმის მთელ ევროპაში არ მოიძებნება, დიდი ხნიდან მოპოვებულ სახელსაც. რას ფიქრობდა ან მთავრობა, როდესაც ამისთანა პირობებს უდებდა ერობას, ან ეს უკანასკნელი, როდესაც ის დათანხმდა? განა ამ პირობებში შეიძლება წყალტუბოს აბანოების წარმოება და მისი რიგიანი მოწყობა?! ცხადია, რომ არა და არა.

ჩვენ ამ კითხვას კიდევ დაუბრუნდებით, როცა დაწვრილებით გავეცნობით ერობის მთავრობასთან შეკრულ პირობებს და აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ დღეს არც მთავრობას ჰქონია წარმოდგენა ამ წყლებზე და ვერც ერობას ამ ორი წლის მართვის განმავლობაში გაუთვალისწინებია მისი სიდიადე.

ექიმი **დიმ. ნაზაროვი,**

ანგორასთან ომთანხმეგის გამო.

როდესაც ეროვნული იდეების მატარებლები იცავდენ ახალ მომართულებას ბათუმის საკითხში, ასაბუთებდენ შარიატის ძლევა-მოსილებას მაჰმადიანებისათვის, არა მხოლოდ, როგორც რელიგიურ საფუძველს, არამედ როგორც ეკონომიურს და სოციალურს, ასაბუთებდენ აუცილებლობას ჩვენსა და მახმადიანებს შორის ხიდის საჭიროებისას. ბევრნი არ გვეთანხმებოდენ, მაგრამ ისტორიის გზამ, ნამდვილმა ცხოვრების გარემოებამ დაამტკიცა, რომ ჩვენ მართალი ვიყავით...

როდესაც ზარბაზანმა იქუხა, ბევრმა ვერ გაიგო მომენტი. ზოგი ამ მომენტს ადარებს სომხეთ-საქართველოს ომს, ზოგი აზერბეიჯან-საქართველოსას და სხვა. ჩვენი ვალია გარკვეულად ვსთქვათ ის, რაც მიგვაჩნია სიმართლეთ. აღმოსავლეთში იწყება დიდი ომი, შეიძლება ითქვას, უდიდესი ომი. ეს არ იქნება ტროიანელების და ბერძნების ომი, ესე იგი დასავლეთისა და აღმოსავლეთის; არა ეს იქმნება აღმოსავლეთს ევროპაში დამკვიდრებულ „ევროპიელ ზზიატებისა“ ანუ აზიელებისა, უფრო სკიფთებისა და ადმოსავლეთისა. მთელი მაჰმადიანობისა, მაჰმედის ოჯახი მილიონიანი მიმდევრებისა.

როგორც წინად ვამბობდით, ბაქო—მოსულის გზა სჭირდება ბოლშევიკებს, რომ ინგლისს მუდამ ემუქრებოდეს ინდოეთში, ინგლისს კი სჭირდება სტამბოლი—თეირანი—ინდოეთი. ამ ჯვარედინში ვართ გამომწყვდეული ჩვენ, მთიულები, სპარსელები და ოსმალოები. ოსმალოები, ანგორის სახით, ყველაზე უფრო ძლიერები არიან ამ ერთა შორის. მას უნდა ეთავა პირველობა ამ ომში, მაგრამ ისტორიამ ჩვენ, ქართველებს, გვახვედრა ეს მისია. ჩვენ გვეკვეთნენ, ჯერ სომხეთი, მერე აზერბეიჯანი, ეს რუსების პოლიტიკური მანეკენები. ჩვენ ვიერთებთ ანგორას და ვიწყებთ ამ გზიდან რუსების განდევნას. ამაში მთელი ევროპა ჩვენთან იქნება. პირველი აუცილებლობა ევროპისათვის არის ის, რომ ჩვენ ეკონომიურად არ ვიყოთ მძლავრი, და ეს ომი ძალიან დაგვცემს ამ მხრივ; მეორე მათთვის სახეირო ისიც არის, რომ მოსულ-ბაქოს გზა გაიკაფვა. არა მათი, ევროპიელების სისხლით, არამედ ჩვენი, ქართველების, ოსმალოების, თუ გნებავთ სპარსელების, მთიულების; თუ მოიყვანეს ევროპიელებმა თავისი ჯარები და აომეს, ეს არ იქნება მათი რასსიული სისხლი, მაგალითად ფრანგები მიუყვანებენ ალიუზელებს (თურკოსებს), ბერბერებს, სენეგალიელებს ნეგრებს და სხვას; ინგლისელებიც მაჰმადიან ინდოელებს. ეგებ დატრიალდენ ასი ათასობით მეომრები, მაგრამ სისხლი არა ევროპიელებისა. შემწვარ წაბლს ცეცხლიდამ კი ევროპიელები გამოიტანენ. ჩვენი ვალია ვიცოდეთ თავიდანვე, რომ იწყება დიდი ომი, შეიძლება ხანგრძლივი, ვიცოდეთ ამის სიძნელე და დავზოგოთ ჩვენი ერის სისხლი.

რუსები კი,—ბოლშევიკები, ყოველგან დამარცხებული, იომებს სულის დალევამდე და ალბად, ომის ბოლოს იქნება ახალი რევოლიუცია. რუსეთში—დაჯდება ტახტზე კისერმოქცეული ტაშკენტელი კერენსკი, თუ ვინმე რომანოვი, დოლგორუკი; ამას ექნება გავლენა ომზე. მაშინ ომი შეწყდება, ყველაფერს დააბრალებს დამარცხებული რუსეთი ძველ, ბოლშევიკურ მთავრობას, ისე როგორც ყირიმის ომის წაგების შემდეგ „მოკვდა“ ნიკოლოზი პირველი და რუსის მეფე ალექსანდრე მეორემ „შეჰკრა“ ზავი.

ხოლო ლაპარაკი იმაზე, რომ ეს ომი გამოიწვიეს ბაქოელმა კომისრებმა და არა მოსკოვმა, წაგავს მას, რომ ეკატერინე მეორეს-კი არ უნდოდა საქართველოს ჩაყლაპვა, არამედ კრონინგებს ტოტნებენებს.

ომი შეიძლება იქნეს ხანგრძლივი, დიდი, მაგრამ ჩვენ გვჩვევია ისტორიული სიბრძნე, ჩვენ გვჩვევია ორი დიდი მეტოქის ერთი მეორესთან, შეხლა და თვით ოლად გამოსვლა. ვემზადოთ დიდი ომისათვის ხოლო თუ ისტორიულმა ბედმა გაგვიღიმოს.

ჩვენი სისხლი არ დაიღვრება იმაზე მეტი, რაც აუცილებელია.

ეგებ ეს ომი დროებით შეწყდეს, მოინდომონ ლაპარაკით ერთი მეორის მოტყუილება, მაგრამ მღელვარებას რუსეთის ტერიტორიაზე არ შეაჩერებს ისტორია, სანამ სულ არ ამოშრება რუსეთის ტბა სანამ არ ამოშრება რუსებში ბოლშევიკური იმპერალიზმის წყარო.

ამასვე დრო უნდა დაჩვენც უნებლიედ უნდა მივყვეთ ჩვენი სამშობლოს ბედს...

დ. ლოლობერიძე.

გამარჯვების რწმენა!

ერთი რამ ახასიათებდა მუდამ ქართველ ერს. ბევრი გაჭირება გამოუვლია მას. არც ერთ ერს არ ყოლია მგონი იმდენი მტერი, რაც საქართველოს. არავის არ უწარმოებია იმდენი ომი, რაც ქართველთ. და არავის არ უნახავს თავის არსებობაში იმდენი გამარჯვება, რაც ჩვენ. მიუხედავათ ამისა, არაოდეს ქართველი ხალხი სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა, თვით უკიდურეს გაჭირვების დროსაც კი. საშინელი იყო თემურ-ლეიგი, რისხვა იყო შაჰაბაზის მოვლენა. და რამდენი ასეთი და კიდევ უარესი დრო დადგომიათ ჩვენებს, მაგრამ ერთი წუთიც არ ყოფილა ქართველთა სულიერ მდგომარეობაში ისეთი, რომ უკანასკნელი იმედი დაკარგოდა. ჩვენ ვიცით სახელმწიფოები, რომლებიც ორი-სამი ომის წარმოებით აღგვილან დედამიწის პირიდან. რით ავხსნათ ქართველთა ასეთი გამორჩევა სხვათაგან? ვთქვათ ომებში იმარჯვებდენ უფრო მეტად, მაგრამ რატომ არ მოიშალა მისი სახე ასი, ორასი და სამასი წლის სხვის ქვეშევრდომობით? აი ეს კითხვები იბადება ჩვენში დღესაც, როცა უყურებ და ისმენ ჩვენი ჯარის გამარჯვებას. ეს სიმამაცე მით უფრო გაკვირვებს, როცა იცი, რომ ის ხდება 117 წლის რუსეთის მონობის ქვეშ ყოფნის შემდეგ, რომელიც სრულიად არ ჩამოუვარდებოდა თვით შაჰაბაზის მიერ მოვლენილ ჭბედურებას. და აი როცა წუხელი ღამით გვაცნობებდენ თბილისიდან, რომ მდგომარეობა სერიოზულია, ეს ღამე გადაწყვეტს ჩვენ ბედს, გადამწყვეტი ბრძოლა ეხლა მოხდება, სულ ორი საათი და ან დავმარცხდებით, ან გავიმაჯვებთ. ჩვენი სულიერი მდგომარეობა შეირყა, მოუსვენრობა მოგვეფლინა, მაგრამ ჩვენი თავი ს ბოლოოდ ვერ დავაჯერეთ, რომ შეიძლება დავმარცხდეთ. და აჰა, გამართლდა კიდეც; დილით გვაცნობეს სრული გამარჯვება ჩვენი ჯარისა. ვწერთ წერილს და გვილოცავენ კიდევ ახალ დიდ გამარჯვებას. რით ავხსნათ ეს? რა გვიფარავს? ნუ თუ მარტო გამარჯვებისთვის არის გაჩენილი ჩვენი ერი?

და ვამბობთ: ქართველი მუდამ გამარჯვების რწმენით ცხოვრობს. თვით უკიდურესი მდგომარეობა ვერ კლავს მასში მას; და ეს უკანასკნელი აცხოვრებს კიდეც მას. ბრძოლის ველზე ეს რწმენა კიდევ უფრო მტკიცეა და აკაჟებს და აფოლადებს მტერზე მიმავალს მებრძოლს. ეს მთავარია და მნიშვნელოვანი. და ქართველის გაბედულობას, სიმამაცეს თუ მისი გამარჯვების რწმენასაც მიემატება, ჩვენ ვიტყვით:

ქართველი ერი არაოდეს არ დამარცხდება, მას ბრძოლის ველზე ის არ უწერია.

ქართველი ერი მხოლოდ გამარჯვებული შეიძლება წარმოიდგინოთ. ეს გაიგოს მტერმა და მოყვარემაც, და განსაკუთრებით ახსოვდეთ, როცა ჩვენს ზურგს უკან ფარულად აწარმოებენ რასმე ჩვენს წინააღმდეგ.

ინ—ან.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

აისი № 2. ლადო მაჭავარიანის რედაქტორობით.

ქართულს ახალ პოეზიაში იმდენი პოეტიკაა, რამდენიც პოეტი არის. ვისაც არ შეუძლია თავისი პოეტიკის შექმნა, ან უკეთ არ აქვს საკმარისი ცოდნა, მაინც სცდილობს მის შექმნისათვის. გიუეს აზრით, რომ მხატვარი და კრიტიკოსი ერთს პიროვნებაში უნდა მოთავსდეს, თითქო ჩვენში მართლდება, ამიტომ მომავალი შემომქმედისათვის ქაოსია შექმნილი და გზის გაკაფვა საძნელო არის.

ამავე დროს ბევრია ქართულ ლიტერატურაში ეგრეთ წოდებული, „მესამე ხარისხი“ თუმც არის რულული თქმა, რომ „მესამე ხარისხი“ ხშირად პირველს არ ჩამოუვარდება, მაგრამ ქართული პოეზიის მესამე ხარისხზე ამას ვერ ვიტყვით. „ყანწელების შემოსვლამ ბევრს ახალს მწერალს შეუცვალა თავის სახე. მოწინავეთა მონობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. პოეტობა „ისპანკის ეპიდემიად“ დადგა ქართველ სულს. შეიძლება ეს ქართული ფსიხიკის თვისებებს ეაშკარავებდეს, მაგრამ ეპიდემია ქაოსსა ქმნის და ამ ქაოსში ბევრი იხჩობა და ბევრი იაფფასიან რეზონანსად გამოდის. ასეთს ატმოსფერაში ყოველთვის - ახალს მოელის მკითხველი (თუ არსებობს ასეთი) და ბანალური ღ ქვა ერთისა და იმავესი სტანჯავს ხელოვნების მოყვარულ პიროვნებას.

„ჟურნალი აისი“ ჩაითვლება მესამე ხარისხელთა ბუდედ. ჩვენ არ გვსურს ვისიმე დამცირება, ან ვისიმე პრესტიჟის ამაღლება. პოეტობის დიპლომების დარიგება ჩვენს ძალას აღემატება. მხოლოდ აღვნიშნავთ ქართული პოეზიის დისონანსებს.

ლ. მაჭავარიანის „სულის ტყვეობა“ ძლიერ გაცვეთილი თემაა. ამ „სულის ტყვეობაზე“ თითქმის ყველა პოეტი სწერდა, რომ საკუთარი მზერა სჩანდეს, შეიძლებოდა შეჩერება. ფორმაც ღარიბია და ავანტყოფური რითმებით სავსე. მეორე ლექსში მეტი ცდაა და თავის თავის კრიტიკა ჩანს. გ. ტაბიძე „შავი პელიკანი“ აისის ღერბი არის ფიროსმანის პარალელის სულის ტკივილით ფაქიზად არის გადმოცემული. რ. გვეტაძე „დიდი საქართველო“ დაწერილია ტ. ტაბიძის წერილის „ირრედენტისათვის“ გავლენით. ამას წინათ შ. კარმელმა დასწერა მისი გავლენით „ტრაპეზონი“. „დიდი საქართველო“ ძლიერ დაბალი ხარისხის არის. განსაჯეთ: „ახალს ვწერდეთ გადიდებულ საზღვარის ქარტებს, რომ სოლომონმა გაიხაროს იასამანითაა პოეტური იმპერიალიზმის გასოთქმა ასე უფორმოთ მიუღებელი არის, რატომ არის საჭირო, სოლომონმა, რომ იასამანით გაისაროს ეს რითმისთვის ჯახირებაა და აზრის ჯვარცმა. „ეორდანიას არ აშენებს გზები ირიბი, ეს შეესაბამება გვარდიელთა ყრილობაზე მოხსენებას, წაკითხულ ნ. ეორდანიას მიერ.

გ. ცეცხლაძე „ყიჟინი მსოფლიოში“ ვერჰარნობის შედეგია, მაინც ის ყველაზე ორიგინალურია ამ ჟურნალში. ქაოსი და სარწმუნოებრივი წვა ერთდება „აპოკალიპსის ცხენებში“. შეიძლება შ. კარმელის გამარჯვება ამ ლექსიდან იწყებოდეს.

ვ. ეორგაძის ლექსები, ვერ არის დასრულებული. პოეტი ვერ ამბობს იმას, რის თქმაც უნდოდა. უკანასკნელებზე მათი პოეტური სიახლე გვაჩემებს. ვ. გაფრინდაშვილმა აღძრა ინტერესი დ. გურამიშვილის შესწავლის, ამისი შედეგი არის ვ. ეორგაძის წერილი, ეს სტილის გავლენითაც მტკიცდება. სასიამოვნოა, რომ ქართველი ახალგაზრდა პოეტებში აღიძრა წყურვილი წარსულის დაფასებისა.

ს.—ანი.

მთავარი რედაქტორი **კ. კაპანელი.**
სარედაქციო კოლეგია

ექიმი
ი. გ. მეგურიშვილი
ვენერიული, შინაგანი და საშარდო ორგანოთა სნეულებანი. (შეშხაპუნება 606 და 914) ავადმყ. მიღება საღამ. 5—8 საათამდი.
ჭავჭავაძის (ვეგუთის) ქუჩა № 8.
ქალაქის მეორე აფთიაქის ახლოს
თვ.

ქუთაისი, პუშკინის ქუჩა. საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობა. სტამბა იოსებ ხელაძისა.